პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 80 (4590)

1972 წ. 23 აპრილი, კვირა.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





## დედაქალაქის ტრადიციული...

თბილისში, არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე, საზეიმოდ გაიხსნა თბილისის მოსწავლეთა XXVIII სპარტაკიადა. ალლუმის მონაწილეებს სპარტაკიადის გახსნა მიულოცეს, სწავლასა და სპორტში წარმატებები უსურვეს თბილისის განათლების განყოფილების გამგემ თ. ეკაძემ და ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა ოსტატობის კანდიდატ გოგონებს შორის ი. მუზაშვილმა, საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონებმა მ. მონიავამ, მ. გაბუნიამ, მ. კალანდაძემ, მ. კურატიძემ და ვ. ივანოვმა სპარტაკიადის ალამი აღმართეს.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ სტადიონზე გამოვიდა 26 კომისრის რაიონის 1000-ზე მეტი მოსწავლე, რომლებმაც ხტომისა და ტყორცნის სექტორებში ახალი კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს.

დედაქალაქის მოსწავლეთა ტრადიციული ასპარეზობის პროგრამაშია აკრობატიკა, ველოსპორტი, კალათბურთი, მძლეოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტანვარჯიში, ფეხბურთი, ტყვიის სროლა, ფარიკაობა, ფრენბურთი, ხელბურთი, ცურვა და ჭადრაკი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ალმის გამოტანის ცერემონიალი; თამაშობენ კიროვისა და კალინინის სახელობის რაიონების ხელბურთელ გოგონათა გუნდები.

ა. იუნაევის ტექსტი და ფოტოები.

## ახალი ამბები

● ერევანი, 21 აპრილი. აქ დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ უნგრეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, იტალიის, იაპონიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. აღსანიშნავია, რომ სარბიელზე საბჭოთა ოლიმპიური გუნდის ყველა კანდიდატი გამოვა, მსოფლიო ჩემპიონ, კიეველ ბ. ონიშჩენკოს გარდა, რომელიც ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა ერევანში.

● როტერდამი, 21 აპრილი. მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ჩემპიონატის მეორე წრეში სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა, ბაქოელმა რ. პოლოსოვამ წააგო გფრ-ის წარმომადგენელ ვ. ჰედრიქსენთან 0:3 (16:21, 14:21, 19:21). ერევნელი ე. ანტონიანი დამარცხდა დასავლეთგერმანელ დ. შელერთან 0:3 (10:21, 14:21, 10:21). პირველი დღის სენსაცია იყო ძლიერი იუგოსლაველი ჩოგბურთელის მ. კარაკაშევიჩის წაგება ფრანგ ჟ. პ. ვებერთან 1:3 (21:12, 13:21, 17:21, 22:24). გაუჭირდა პირველი მოგება მსოფლიო ჩემპიონ შვედ ს. ბენგტსონსაც. იგი შეხვდა ლუქსემბურგელ მ. შაიბელს და დაამარცხა 2:0 (22:20, 22:20, 21:12).

● რიგა, 21 აპრილი. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში — „ხელოვნების რიტმები" ომსკელმა სტუდენტმა გ. შუგუროვამ ოთხ სახეობაში გაიმარჯვა. მას გადაეცა ლატვიის მხატვართა კავშირის პრიზები პირველი ადგილებისთვის მრავალჭიდში, ლენტით, რგოლითა და სახტუნებლით ვარჯიშში. ბურთით ნებისმიერ ვარჯიშში ქულათა თანაბარი რაოდენობა (9,65-9,65) დააგროვეს კიეველმა ნ. ოვჩინიკოვამ, უნგრეთის ჩემპიონმა მ. პატოჩკამ და ბულგარელმა კ. ფილიპოვამ. მათ I-III ადგილები გაიყვეს.

● დუშანბე, 21 აპრილი. ტაჯიკეთის დედაქალაქში დამთავრდა წყალში მხტომელთა საკავშირო შეჯიბრება სპეციალურ მრავალჭიდში. პროგრამაში იყო ტანვარჯიში, ბატუტზე ვარჯიში და წყალში ხტომა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ბატუტზე ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორმა, მოსკოველმა ა. ვოლოსკინმა. ქალთა შორის ყველას აჯობა სსრ კავშირის ჩემპიონმა კოშკიდან ხტომაში თ. ხარქისოვამ (უკრაინა).

● ხარკოვი, 21 აპრილი. აქ დაიწყო იუნიორ ძალოსანთა პირადგუნდური საკავშირო პირველობა, რომელშიც მონაწილეობს 130-მდე ათლეტი — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. უმძიმესი წონის ძალოსანთა შორის გაიმარჯვა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ა. ორლოვმა, ხოლო ტენტე წონაში ტოლი არ ჰყავდა როსტოველ ნ. კოლესნიკოვს. პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ რსფსრ-ს ათლეტები. II ადგილზე არიან უკრაინელები, ხოლო III — ყაზახეთის წარმომადგენლები.

● კიევი, 21 აპრილი. „დინამოს" სტადიონზე დაიწყო მშვილდოსანთა საკავშირო შეჯიბრება. პირველ დღეს ქალები 60 და 70 მეტრზე სროლაში ასპარეზობდნენ. 60 მეტრზე სროლაში გაიმარჯვა ვ. კოვტანმა — 303 ქულა, 70 მეტრზე — ა. პიუნოვამ — 288 ქულა. პირველი დღის შემდეგ ორი ვარჯიშის ჯამში დაწინაურდა პიუნოვა — 588 ქულა. ვაჟები 70 და 90 მეტრზე სროლაში ასპარეზობდნენ. 70 მეტრზე გაიმარჯვა ვ. დიქსონმა — 300 ქულა, 90 მეტრზე მ. პიუნოვმა — 256. ორი სახეობის ჯამში დაწინაურდა ვ. ხიდოროვკი — 550.

## ახალი ამბები

## ოლიმპიური ჩემპიონი მოსკოვში

მოსკოვი, 22 აპრილი. გუშინ მოსკოვში ჩამოფრინდა აშშ-ს კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური ნაკრები. სტუმრები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ამხანაგურ მატჩებს გამართავენ. აშშ-ს ნაკრების მწვრთნელმა ფ. დევისმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ეს ვიზიტი, ისევე როგორც მთელი ევროპული ტურნე, ერთ კონკრეტულ ამოცანას ისახავს მიზნად: გაეცნონ ძველი სამყაროს უძლიერესი გუნდების თამაშის სტილს. „ჩვენ, — განაცხადა მწვრთნელმა საუბრის დასასრულს, — დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ მოგება-წაგებას, ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, თუ რამდენიმე შეხვედრაში წარმატებას ვერ მივაღწევთ".

რას ნიშნავს ეს სიტყვები? გულახდილია მწვრთნელი თუ უბრალოდ, თავს იზღვევს? მართლაც ძნელი გასარკვევია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამერიკელები ცდილობენ გაამართლონ მარცხი, რომელიც მოსკოვში ჩამოსვლამდე ჩეხოსლოვაკიაში იწვნიეს.

ეს მატჩი გაიმართა პრაღაში, „სპარტას" სპორტის სასახლეში. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელიც მანამდე დიდ ოპტიმიზმს არ იჩენდა მიუნხენის ოლიმპიური ტურნირისადმი, მოულოდნელად დაამარცხა აშშ-ს ნაკრები — 92:82 (47:36). ჩეხოსლოვაკიელთა გუნება ამ წარმატებამ აშკარად გამოაკეთა.

დღეს აშშ-ს კალათბურთელები პირველ მატჩს გამართავენ მოსკოვში. შემდეგ ნავარაუდევია გამოსვლები კაუნასში, ვილნიუსში, ტალინსა და თბილისში. სულ სტუმრები საბჭოთა კავშირში 8 ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ.

## ერთი ტურიც... და

კიევში დამთავრდება სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა გუნდების მეორე წრის თამაშები. გთავაზობთ IV, V და VI ტურების შეხვედრათა შედეგებს: **IV ტური.** „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) — „ლუჩი" (მოსკოვი) 10:11, ბინათმშენებლობის კომბინატი-3 (კიევი) — „ტექნოლოგი" (მინსკი) 11:11, ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (კიევი) 10:25, „სპარტაკი" (ბაქო) — „ქალგირისი" (კაუნასი) 12:10; **V ტური.** „ტექნოლოგი" — „კალინინეცი" 10:7, „ლუჩი" — ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 14:10, ბინათმშენებლობის კომბინატი-3 — „ჟალგირისი" 12:13, „სპარტაკი" (კიევი) — „სპარტაკი" (ბაქო) 17:5; **VI ტური.** ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „ტექნოლოგი" 9:7, „ჟალგირისი" — „კალინინეცი" 17:10, ბინათმშენებლობის კომბინატი-3 — „სპარტაკი" (ბაქო) 7:13, „სპარტაკი" (კიევი) — „ლუჩი" 18:11.

მეორე წრის ბოლო ტურის წინ ერთპიროვნულად ლიდერობს კიევის „სპარტაკი" (26 ქულა). II ადგილზეა ბაქოს „სპარტაკი" (22), III — მოსკოვის „ლუჩი" (16 ქულა).

## „ბურევესტნიკი" და უსკ-ა უმაღლეს ლიგაში

ლენინგრადი, 21 აპრილი. პირველი ჯგუფის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის ფინალში ოთხი კოლექტივი ასპარეზობდა — ადგილობრივი „ბურევესტნიკი", ტარტუს უსკ-ა, პენზის „სპარტაკი" და დნეპროპეტროვსკის „სტალი". ამ კვარტეტიდან გასასვლელად უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ორ უძლიერეს გუნდს ეძლეოდა.

გადამწყვეტი ეტაპისთვის ლენინგრადელებს უკვე ჰქონდათ 3 ქულა (წინასწარ შეხვედრებში ნაჩვენები შედეგები ფინალშიც გადადიოდა), ამიტომაც ბოლო დღეს ტარტუს უსკ-ასთან მარცხმა ტურნირის საბოლოო შედეგებზე გავლენა ვერ მოახდინა. სამაგიეროდ, ესტონელებმა ამ გამარჯვებით (59:58) უმაღლესი ლიგის საგზური გაინაღდეს.

როგორც ცნობილია, გასასვლელ უმაღლეს ლიგაში არ ითამაშებენ მოსკოვის „დინამო" და კიშინიოვის „ინდორსტროი". მათი ადგილები ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" და ტარტუს კალათბურთელებმა დაიკავეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე კოლექტივი წლების მანძილზე უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა.

## თბილისელი II ადგილზე

გფრ-ის ქალაქ ჰანოვერში დამთავრდა 6 ქვეყნის მოცურავეთა მატჩი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 464 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან გფრ-ის (398), ჰოლანდიის (378,5), უნგრეთის (350,5), დიდი ბრიტანეთისა (344) და შვეციის (241) წარმომადგენლები.

შეჯიბრების ბოლო დღეს რამდენიმე მაღალი შედეგია ნაჩვენები. ვაჟთა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე გაიმარჯვეს საბჭოთა მოცურავეებმა — 3.58,7.

დაძაბულად წარიმართა ბრძოლა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ი. გრივენიკოვსა და გ. ბურეს შორის. გაიმარჯვა გრივენიკოვმა — 53,1. მან 0,3 წამით ჩამორჩა ბურე.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ქალთა შორის I-II ადგილებზე გავიდნენ საბჭოთა მოცურავეები გ. უეკურაიტიტე და ნ. პეტროვა, რომლებმაც შესაბამისად 5.16,8 და 5.18,1 აჩვენეს.

ბატერფლაის სტილით 200 მეტრზე ცურვაში გაიმარჯვა ვ. შარიგინმა — 2.07,4.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა ჰოლანდიელმა ა. რეინდერსმა — 4.32,4. II ადგილზეა საბჭოთა მოცურავე ტ. ზოლოტნიცკაია — 4.38,7.

1500 მეტრზე ცურვა მოიგო ჰოლანდიელმა ვ. კაილმა — 16.47,7. II ადგილზე გავიდა თბილისელი ი. ლისეცკი — 16.54,4.

## შვეიცარიამ და პოლონეთმა როლები გაცვალეს

პრაღა, 22 აპრილი. გფრ-ისა და შვეიცარიის ჰოკეისტთა გუშინდელ მატჩს ორივე გუნდისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ ამ შეხვედრას უნდა ვაერკვია ვინ დატოვებდა უმაღლეს ლიგას და დაუთმობდა ადგილს მეორე ჯგუფში გამარჯვებულ კოლექტივს. გერმანელებმა მონდომებულად ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 4:1.

შვეიცარიელები, სულ ცოტა, ერთი წლით ჩამოსცილდნენ უძლიერესთა ჯგუფს. მათ ადგილს 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მოსკოვში გაიმართება, პოლონელი ჰოკეისტები დაიკავებენ (ამ უკანასკნელთ წვრთნის საბჭოთა სპეციალისტი ა. ეგოროვი).

მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა შეადგინეს ჩვენი სამყაროს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდა 3-3 ჰოკეისტი ჩეხოსლოვაკიიდან და სსრ კავშირიდან. გუნდის შემადგენლობა ასეთია: ჰოლეჩეკი, მახაჩი, პოსპიშილი (სამივე — ჩეხოსლოვაკია), ვიკულოვი, მალცევი, ხარლამოვი (სამივე — სსრ კავშირი).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 9 | 8 | 1 | 0 | 64—14 | 17 |
| სსრ კავშირი | 9 | 7 | 1 | 1 | 75—14 | 15 |
| შვეცია | 9 | 5 | 0 | 4 | 46—30 | 10 |
| ფინეთი | 9 | 4 | 0 | 5 | 45—40 | 8 |
| გფრ | 10 | 2 | 0 | 8 | 21—76 | 4 |
| შვეიცარია | 10 | 1 | 0 | 9 | 19—96 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი კომპლექსი — ახალი ამოცანები

## საქართველოს ფიზკულტურული აქტივის კრებაზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით, მეცხრე ხუთწლედის მთავარი ამოცანა ისაა, რომ სოციალისტური წარმოების მაღალი ტემპების, მისი ეფექტურობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდის საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ზრდა უზრუნველვყოთ.

ხუთწლედის ამოცანათა გადაწყვეტაში დიდი როლი ეკისრება ფიზკულტურასა და სპორტს. მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისთვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ახალი გამოვლინება გახლავთ 1 მარტიდან „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღება. კომპლექსი წარმოადგენს ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის პროგრამასა და სანორმატივო საფუძველს. იგი მოწოდებულია მთავარი როლი შეასრულოს ყოველმხრივ განვითარებული, ფიზიკურად სრულყოფილი საბჭოთა ადამიანების აღზრდაში, მათი შრომისუნარიანობის ამაღლებაში, საბჭოთა პატრიოტიზმის ჩანერგვაში.

ახალი კომპლექსის შემოღების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილების გამოქვეყნებისთანავე საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისათვის მზადება. ფეხდაფეხ არც ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ჩამორჩნენ: თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში აქტიური საქმიანობა გაჩაღდა, კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისიების წინაშე პირველი ჩამბარებლები წარსდგნენ.

ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე დღეს ფიზკულტურის კომიტეტების პირველი საზრუნავია. ამას წინათ თბილისში, მსახიობის სახლში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩაატარა ფიზკულტურის რესპუბლიკური აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის გ. სიხარულიძის მოხსენება „რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით“.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ისტორიაზე, საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში მის როლსა და მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა, რომ კომპლექსმა 30-იან წლებში, შემოღებისთანავე, დიდი პოპულარობა მოიპოვა. კომპლექსის სამკერდე ნიშანს სიამაყით ატარებდნენ ქვეყნის სახელოვანი ადამიანები.

ნორმატივების მასობრივად ჩაბარებამ ხელი შეუწყო საბჭოთა არმიის მებრძოლთა ფიზიკურ მომზადებას, რამაც სამამულო ომის დროს დიდი როლი ითამაშა.

შემდეგ სიხარულიძემ ილაპარაკა იმ მიზეზებზე, რამაც ახალი კომპლექსის შემოღება განაპირობა. მან აღნიშნა, რომ წლევანდლამდე მოქმედი კომპლექსი ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის სადღეისო მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა.

— დასამალი არც ისაა, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომ წლევანდლამდე მოქმედი კომპლექსით ნორმატივების ჩაბარების გეგმების შესრულებაში ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაციის ხელმძღვანელები აშკარად თვალის ახვევის გზას დაადგნენ. რესპუბლიკურ კომიტეტში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, შარშანწინ საქართველოში მომზადდა 224,700 ნიშნოსანი, ხოლო შარშან — 230,200. ეს ციფრები ერთგვარ ეჭვს იწვევს. ამიერიდან სიყალბეს ბოლო უნდა მოეღოს. უმჯობესია ციფრები ნაკლები, მაგრამ რეალური იყოს.

სიხარულიძემ აღნიშნა, რა ამოცანებს აყენებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, მინისტრთა საბჭოების, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, კომკავშირის, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების, დოსააფის ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების წინაშე. ახალი კომპლექსის შემოღების შესახებ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

ამ ახალი ღონისძიების დიდ მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კომპლექსის დანერგვაში საუკეთესო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების დასაჯილდოებლად ხუთი გარდამავალი წითელი დროშა დააწესა.

როცა ახალი კომპლექსის უპირატესობაზე ლაპარაკობდა, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჯერად ასაკობრივი ჯგუფები საგრძნობლად გაზრდილია. თუ უწინ ნორმატივებს 14 წლის ასაკიდან აბარებდნენ, ახლა ჩაბარება 10 წლიდან იწყება, კომპლექსის V საფეხური — „მხნეობა და ჯანმრთელობა“ ფიზკულტურის გზას 60 წლამდე ასაკის კაცებსაც უხსნის. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა ნორმატივების ჩაბარებაში რაც შეიძლება მეტი ადამიანი მივიზიდოთ.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ბოლო წლებში გაჩნდა ფიზიკური წრთობის ახალი ფორმები — „ჯანმრთელობის კლუბები“, საწარმოო ტანვარჯიში, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები. მაგრამ ბევრ საწარმოში, დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში არ იგრძნობა მშრომელთა ფიზიკური გაჯანსაღებისთვის სათანადო ზრუნვა. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის შემოღებამ კი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობით საგრძნობლად უნდა აამაღლოს მშრომელთა, მოსწავლეთა და დიასახლისთა ფიზიკური წრთობის საქმე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სასოფლო კლუბების, საცხოვრებელი მასივების მშენებლობისას სპორტული ბაზებიც უნდა გაითვალისწინონ. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა თქვა, ჩვენს რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შენდება სკოლები უდარბაზებოდ. ხოლო ზოგჯერ ამ მიზნით საქტო დარბაზს იყენებენ.

გ. სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოში 95 სკოლა სპორტული დარბაზის გარეშე აიგო, სამხრეთ ოსეთის 105 სკოლიდან კი დარბაზი მხოლოდ თხუთმეტს აქვს, საცხოვრებელ მასივებში იშვიათად ეწყობა მარტივი მოედნები. არადა, კარგი სპორტული ბაზები კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისა და მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის ფართოდ გაშლის აუცილებელი პირობაა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის უკვე გაწეულ მუშაობაზე, მან ქებით მოიხსენია თბილისის კალინინის, პირველი მაისის, ორჯონიკიძის რაიონების, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის, ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის რაიონის შემოქმედის კოლმეურნეობის, სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებმაც შეძლეს ახალგაზრდობა დაერაზმათ საკუთარი ძალებით სპორტული ბაზების ასაგებად.

გ. სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის სათანადოდ ზრუნავენ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ, თბილისის საავიაციო და ელმავალმშენებელ ქარხნებში. მაგრამ ყველგან ასე როდია, — განაგრძობს მომხსენებელი, — მაიაკოვსკის, ლენტეხის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ასპინძის, წალენჯიხის, ზნაურის, გულრიფშის რაიონებში ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ბაზების მშენებლობაში, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში.

აღინიშნა, რომ ამ მხრივ მოწინავე ქალაქებისა და რაიონების ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულების, კოლმეურნეობის, სასწავლებლის დირექციებიც სცოდავენ: ბაზების მოწყობისთვის არ ზრუნავენ, ფიზკულტურის ინსტრუქტორის შტატს თვითნებურად აუქმებენ ან მათ ისეთი დავალებებით ტვირთავენ, რასაც ფიზკულტურასთან საერთო არაფერი აქვს.

გ. სიხარულიძემ მაგალითად დაასახელა ზაჰესის „საქმთავარენერგოს“ ქარხანა (დირექტორი ა. ხუციშვილი), თბილისის № 6 წისქვილკომბინატი (დირექტორი გ. ჯორჯიაშვილი), სადაც უკვე სამი წელია ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა შტატი გააუქმეს. ისიც თქვა, რომ ჩოგბურთის ერთადერთი მოედანი ცხინვალში სამშენებლო ობიექტად გამოიყენეს, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სპორტული დარბაზი კი მასალის საწყობად. ასეთივე შემთხვევები მოხდა მცხეთის ხე-ტყის კომბინატში, ბორჯომის მინერალური წყლების № 1 ქარხანაში, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკაში, თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში.

ახალი კომპლექსის მნიშვნელობა — განაგრძობს გ. სიხარულიძე, — განსაკუთრებით ნათელი გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ დისპეტჩერებს, ოპერატორებს, მეცნიერ-მუშაკებს, ტელეგრაფისტებს, მძღოლებსა და მთელი რიგი სხვა პროფესიების ადამიანებს მოძრაობა ნაკლებად უხდებათ, რაც საზიანოა ჯანმრთელობისთვის. ამის გამოსწორება მხოლოდ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობით შეიძლება. ახალი კომპლექსის მიზანიც სწორედ ესაა და ამიტომაც გახდა იგი უკვე ასე პოპულარული.

შემდეგ გ. სიხარულიძემ აღნიშნა, რომ პრესა, რადიო, ტელევიზია ახალ კომპლექსს სათანადო ადგილს უთმობენ. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, აგრეთვე განათლების სამინისტრომ მასობრივი ტირაჟით გამოსცეს კომპლექსისადმი მიძღვნილი ბროშურები და ნორმატივები.

შემდეგ მომხსენებელმა აქტივს აცნობა, რომ ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შექმნა ახალი კომპლექსის რესპუბლიკური საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა სიმაღლეზე ხტომაში სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. შხვაცაბაია. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს პროფსაბჭოს, დოსააფის, განათლების, საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების, არმიელთა სპორტკლუბის, ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სპორტსაზოგადოებების წარმომადგენლები.

ისიც ითქვა, რომ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმის სათანადო დონეზე დაყენებისთვის კოლექტივების, რაიონების, ქალაქების, ოლქის, რესპუბლიკების კალენდარულ შეჯიბრებათა გამართვისას ყოველმა სპორტსმენმა და მწვრთნელმა რამდენიმე ნორმატივი მაინც უნდა ჩააბაროს. ეს ამ საქმის საუკეთესო პროპაგანდაც იქნება.

კომპლექსის პროპაგანდის მიზნით შეიქმნა სპეციალური ბრიგადები, რომელთა წევრები პერიფერიებში სათანადო მუშაობას გაშლიან, მოეწყობა ლექციების ციკლი, საჩვენებელი შეჯიბრებები ნორმატივების ჩაბარებაში. საჭიროა პროპაგანდისტული მასალის გადარჩენებისა და გადასვლების მოწყობა. სპორტული ბაზები უნდა დაამშვენოს სამკერდე ნიშნების ესკიზებმა, ლოზუნგებმა, მოწოდებებმა. მაისის თვეში პასუხისმგებელი ფიზკულტურული მუშაკები მივლინებული იქნებიან ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

მომხსენებელმა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების, სამინისტროების, უწყებების საბჭოებს მოუწოდა, რომ აუცილებელია ახალი კომპლექსის სათანადო საავიტაციო-პროპაგანდისტული მასალები დროულად მიაწოდონ ფიზკულტურის კოლექტივებს.

გ. სიხარულიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში კარგი ღონისძიება გაატარეს: კვალიფიკაციის ასამაღლებელი ეღემივმოქმედი ერთთვიანი კურსების სასწავლო გეგმაში ახალი კომპლექსის საკითხებიც შეიტანეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი კომპლექსის დებულებით ნორმატივები ყველა ასაკის (10-60 წელი) ადამიანებმა, მათ შორის დიასახლისებმა და პენსიონერებმაც უნდა ჩააბარონ, დღის წესრიგში დგება საამისოდ სათანადო პირობების შექმნის საკითხი. ჯანმრთელობის ჯგუფები და კლუბები უკვე გვაქვს, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ქალაქებისა და რაიონების სპორტულ ბაზებზე შეიქმნას სპეციალური ცენტრები, ისევე როგორც თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, სპორტკომბინატის აუზზე, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ კომპლექსთან, ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე და „განთიადის“ აუზზე, სოხუმის „სპარტაკის“ დარბაზში, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე და „განთიადის“ აუზზე, რუსთავის სპორტკლუბ „ფოლადის“ სტადიონზე.

როგორც წესი, ამ ცენტრებში, — განაგრძობს მომხსენებელი, — სისტემატურად ეწყობა ნორმატივების ჩაბარება. მუშაობა განსაკუთრებით ინტენსიურია შაბათ-კვირას.

ისევე როგორც სხვა სპორტული სანახაობანი, კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც სახალხოდ უნდა ეწყობოდეს, ამიტომ სჯობს ეს საფეხბურთო მატჩების დაწყებამდე და შესვენების დროს გაკეთდეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა იქ, სადაც ფეხბურთელთა მატჩებს ბევრი მაყურებელი ესწრება.

ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება საქართველოშიც 1 მარტს დაიწყო, — განაგრძობს გ. სიხარულიძე, — პირველნი სტარტზე თბილისის მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მუშა-მოსამსახურენი გამოვიდნენ, შემდეგ კი თბილისის 77-ე და მე-9 სკოლების, სატელეგრაფო აპარატების ქარხნის, უნივერსიტეტის, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურელები, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეები, თბილისელი რკინიგზელები, სავაჭრო და კულინარული სასწავლებლების, ბათუმის, გორის, ცხინვალის, ზუგდიდის, თელავის წარმომადგენლები.

მაგრამ ყველგან ასე როდი იყო. რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში, ეტყობა, ვერ გაიგეს ახალი კომპლექსის მნიშვნელობა. მაგალითად, დღემდე არაფერი გაკეთებულა ახმეტის, დმანისის, თიანეთის, ადიგენის, ქარელის, ვანისა და სხვა რაიონებში.

შემდეგ გ. სიხარულიძემ ილაპარაკა ჯანმრთელობის დაცვის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების დოსააფისა და სხვა ორგანიზაციების როლზე.

დაიწყო კამათი. პირველად სიტყვა ეძლევა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანს ო. ცანავას. იგი ლაპარაკობს პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებში გაწეულ მუშაობაზე, მოწინავე საზოგადოებების საქმიანობაზე, აღნიშნავს, რომ ნორმატივების ჩასაბარებლად სტარტზე უკვე 18000-ზე მეტი კაცი გამოვიდა. ო. ცანავამ მოწინავეთა შორის დაასახელა ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის, ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის ორგანიზაციები, ბათუმის პედინსტიტუტის, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელი მუშაკები. ო. ცანავამ ნაკლზეც ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას აფერხებს ფიზკულტურისადმი ზოგიერთი საწარმოსა თუ დაწესებულების დირექციების გულგრილი დამოკიდებულება. მაგალითად დაასახელა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, სადაც ფიზკულტურის მეთოდისტებად არასპეციალისტები მუშაობენ, ასეა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაშიც, სადაც ფიზკულტურის მეთოდისტობა ბიოლოგს მიანდეს.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ბაზების საკითხსაც შეეხო. მან აღნიშნა, რომ მცხეთაში, ფოთში, თბილისში, ქუთაისში პროფკავშირმა კარგი ბაზები ააგო, მაგრამ რაც გაკეთდა, არ კმარა. მაგალითად, თბილისში საშველი არ დაადგა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზის მშენებლობის დამთავრებას, სოხუმის ნიჩბოსნობის სადგური უყურადღებოდაა მიტოვებული. ო. ცანავამ აღნიშნა სტუდენტთა გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. ფოფხაძეს. იგი ლაპარაკობს კომკავშირული ორგანიზაციების როლსა და ამოცანებზე, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარებაში. აღნიშნავს, რომ კომკავშირელები აქაც მოწინავეთა შორის უნდა იყვნენ და სხვებს პირად მაგალითს აძლევდნენ.

ნ. ფოფხაძემ აღნიშნა, რომ ამ საქმეს კომკავშირული ორგანიზაციები ბევრგან გულისხმიერად მოეკიდნენ, მაგრამ ზოგან ზერელედ მიუდგნენ. შემდეგ მან ილაპარაკა პიონერებთან და მოსწავლეებთან გაწეულ მუშაობაზე, სპორტულ ბაზებზე საქმიანობის გარდაქმნის აუცილებლობაზე. თქვა, რომ ბაზებზე მუდამ უნდა იყვნენ მწვრთნელები, ინსტრუქტორები, რომლებიც ნორმატივების ჩაბარების მსურველთ სათანადო რჩევა-დარიგებებს მისცემენ.

— კარგი იქნება, თუ რვეულის ყდებზე დაიბეჭდება ახალი კომპლექსის I და II საფეხურების ნორმატივები, — თქვა დასასრულს ნ. ფოფხაძემ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა ილაპარაკა ახალი კომპლექსის შემოღების შემდეგ სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ფიზკულტურის სპეციალისტთა არმიას ხშირად არასწორად იყენებენ, ან თვითონ სპეციალისტები გულგრილად ეკიდებიან საქმეს, რაც ხელს უშლის ფიზკულტურისა და სპორტის უფრო მეტად განვითარებას.

თ. ლაშქარაშვილი შეეხო სკოლების სპორტული ბაზებით უზრუნველყოფის საკითხს, თქვა, რომ საცხოვრებელ მასივებში ნაკლები ყურადღება ეთმობა სპორტულ მშენებლობას. სასწავლო პროგრამები ისეა დატვირთული, — თქვა თ. ლაშქარაშვილმა, — რომ მათ დასაძლევად ბავშვებს გულმოდგინე მეცადინეობა და ხანგრძლივი ჯდომა სჭირდებათ. ამ პირობებში ბავშვების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად რაიონების სპორტსკოლები მეთოდურ ცენტრებად უნდა გადაიქცნენ, უხელმძღვანელონ მოზარდთა სწორ ფიზიკურ აღზრდას, კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას.

არმიის სპორტკლუბის უფროსმა ვ. პრუსაკოვმა, ფიზკულტურის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ, დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. შავგულიძემ ილაპარაკეს თავიანთ ორგანიზაციებში ახალი კომპლექსის დასანერგად გაწეულ მუშაობაზე, ამ საქმეში მოპოვებულ წარმატებებზე, არსებულ ხარვეზებზე, შეფების როლზე. საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის გამოსვლაში მთავარი ადგილი დაეთმო მასებში პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის პროპაგანდის საკითხს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ლ. ქავთარაძემ ილაპარაკა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმეში და, საერთოდ, ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ჯანმრთელობის ორგანოების როლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ, სამინისტროს გადაწყვეტილებით, ახალ კომპლექსს რესპუბლიკის ყველა პედიატრი გაეცნო, გაიზარდა ფიზკულტურელთა საექიმო მომსახურება. შემდეგ ლ. ქავთარაძემ ილაპარაკა საექიმო დისპანსერების როლსა და ამოცანებზე, აღნიშნა, რომ ბევრგან სუსტია ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზკულტურის მუშაკთა კავშირი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. ეცადაშვილმა ილაპარაკა ახალი კომპლექსის შემოღების შემდეგ სამინისტროს კოლეგიისა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ გატარებულ ერთობლივ ღონისძიებებზე. მან თქვა, რომ დაგეგმილია ჩატარდეს სპორტული ბაზების მოწყობის ერთთვიური. დაწესდა „კოლმეურნის“ ხუთი გარდამავალი დროშა კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საქმეში სოფლის მოწინავე ორგანიზაციების დასაჯილდოებლად. ი. ეცადაშვილმა ილაპარაკა უკვე დაწყებულ შეჯიბრებებზე და აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 1000-მდე სტუდენტმა ნორმატივები უკვე ოთხ სახეობაში ჩააბარა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. შხვაცაბაიამ, აფხაზეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. ვუბაზმა, საქართველოს სსრ საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილემ ზ. ფორაქიშვილმა, საქართველოს სპორტკომბინატის დირექტორმა ი. მეტრეველმა.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ო. ჩერქეზია.

კრებამ მიიღო მიმართვა რესპუბლიკის მოსახლეობის, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი ჭადრაკი ჭადრაკი

# საჭადრაკო კომპოზიტორებმა ითათბირეს

ფიდე-ს საჭადრაკო კომპოზიციის კომისიის მუშაობაში, რომელიც ჰააგაში მოეწყო, მონაწილეობდა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის კომპოზიციის კომისიის თავმჯდომარე, ცნობილი ეტიუდისტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლენინური პრემიის ლაურეატი გ. ნადარეიშვილი. აი, რა უამბო მან ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ის მკითხველებს.

— სხდომებში კომისიაში შემავალი 20 ქვეყნიდან მხოლოდ 14 მონაწილეობდა, მუშაობა ნაყოფიერად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ გახსნას დაესწრნენ ფიდე-ს პრეზიდენტი მ. ეივე და ჰოლანდიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ი. რუტი. მისასალმებელ სიტყვაში ეივემ ხაზი გაუსვა საჭადრაკო კომპოზიციის დიდ მნიშვნელობას საჭადრაკო ხელოვნებაში, მოგვიწოდა საჭადრაკო კომპოზიტორებისა და მოჭადრაკე-პრაქტიკოსთა კავშირის განმტკიცებისკენ.

როგორც ყოველთვის, დღის წესრიგში ბევრი პრობლემა იდგა. შევეხები მათგან მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც საინტერესოდ მიმაჩნია კომპოზიციის საბჭოთა მოყვარულთათვის.

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იყო „ფიდე-ს ალბომების" გამოცემის საკითხი. ჯერ ერთი, ეს კრებული საჭადრაკო კომპოზიციის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მიღწეული წარმატებებიდან ყველაზე საუკეთესოებს გვიჩვენებს. მეორე, „ალბომში" საერთაშორისო ოსტატის წოდების მინიჭების საფუძველს წარმოადგენს. წესი ასეთია: „ალბომებში" გარკვეული წარმატებების მოპოვების შემდეგ პრეტენდენტი თავის 50 საუკეთესო ნამუშევარს წარადგენს ექსპერტთა სამსჯავროზე და თუ მისი შემოქმედება მოიწონეს, ფიდე-ს ოსტატი გახდება. ჰააგაში სხდომის შემდეგ ასეთი წოდება მიენიჭათ ი. კრიხელს, ე. ლივშიცს, ვ. ტიავლოვსკის (სსრ კავშირი), ქ. გოლდშმედინგს (ჰოლანდია), ა. იოჰანდლს (ავსტრია), ი. მიკანს (ჩეხოსლოვაკია). რამდენიმე კომპოზიტორს, მათ შორის ლ. მიტროფანოვს (სსრ კავშირი), საერთაშორისო არბიტრის წოდება მიენიჭათ.

ალბათ ყველას დააინტერესებს კომისიის კიდევ ერთი გადაწყვეტილება საკვალიფიკაციო საკითხში. მოწონებულია ბულგარეთის წინადადება, რომ შემოღებული იქნეს წოდება „ფიდე-ს დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში", რომელიც შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ განსაკუთრებით გამოჩენილ საჭადრაკო კომპოზიტორებს მათი შემოქმედების ზედმიწევნითი ანალიზის შემდეგ. ეს წინადადება განსახილველად ფიდე-ს უახლოეს კონგრესს წარედგინება.

ამიერიდან მსოფლიოს ქვეყნების გუნდური ტურნირი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში, რომელიც ცნობილია „მეგობრობის მატჩის" სახელწოდებით, ფიდე-ს ოფიციალური შეჯიბრება იქნება. მიღებულია ტურნირის ჩატარების ძირითადი პირობები, რომლებიც შვეციისა და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კოლექტივებმა დაამუშავეს. გათვალისწინებულია 7 განყოფილება — ორ, სამ, მრავალსვლიანი ამოცანები, ამოცანები თვით და ნადი (კოოპერატიულ) შამათზე, ეტიუდები, ზღაპრული ჭადრაკი — თითოეულში ორი თემა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა ჟანრი სავსებით თანაბარი უფლებით სარგებლობს.

საჭადრაკო კომპოზიციაში ფიდე-ს I მსოფლიო ტურნირის ჩატარება ფინეთმა იდო თავს. მზადება წარმატებით მიმდინარეობს. შეჯიბრება ალბათ უკვე შემოდგომით დაიწყება.

ძალიან საინტერესო უნდა იყოს პირველი საერთაშორისო შეჯიბრება საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნაში, რომლის გამართვა ექსპერიმენტის სახით ბულგარეთმა იკისრა. როგორც ჩანს, შეჯიბრებაში მონაწილეობას 8-10 გუნდი მიიღებს. თითოეულ გუნდში 2 კაცი იქნება.

ხანდაზმულობის გამო (75 წელი) კომისიის პრეზიდენტი, გამოჩენილი ინგლისელი კომპოზიტორი კ. მენსფილდი თადარიგში გავიდა. ახალ პრეზიდენტად აირჩიეს გ. ენში (გფრ), პირველ ვიცე-პრეზიდენტად — გ. ნადარეიშვილი, მეორედ — ი. მარტინსენი (დანია), მესამედ — გ. ფორმანეკი (ჩეხოსლოვაკია).

# მხოლოდ საოცრება

გამოჩენილმა ქართველმა ორიენტალისტმა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა ალ. ცაგარელმა (გარდაიცვალა 1929 წელს) ერთხელ ჟურნალისტ მ. საყვარელიძეს უამბო:

— პეტერბურგში ცხოვრებისას, ერთი მეგობრის ოჯახში ანდრია დადიანის „თვალხუჭულა" თამაშის მოწმე გავხდი. იგი ერთდროულად ათ კაცს ეთამაშებოდა. საინტერესო სანახაობა იყო. დადიანი მეტოქეებისკენ ზურგით იჯდა, სტუმრებს ემასლაათებოდა და თან სვლებს ზეპირად უკარნახებდა. ბოლოს ყველას ფარ-ხმალი დააყრევინა.

სასიქადულო ქართველი მოჭადრაკე საკმაოდ დახელოვნებული იყო ჭადრაკის ასეთ თამაშში. ეს ბევრმა იცოდა. ვენის 1882 წლის საერთაშორისო ტურნირის გამოსათხოვარ ბანკეტზე, ცნობილი მაესტროს ბარონ კოლიშის სახლში რომ მოეწყო, დადიანმა „თვალხუჭულა" თამაშის ხელოვნებით დამსწრე ოსტატებიც კი განაცვიფრა. ამას ინგლისურ საჭადრაკო ჟურნალ „ჩეს მანსლში" (1892 წ.) ვკითხულობთ.

„თვალხუჭულა" თამაში მოჭადრაკისგან თავისებურ ნიჭს მოითხოვს. ამბობენ, სახელგანთქმული იტალიელი სწავლული გალილეო გალილეი რომ დაბრმავდა და მეცნიერული მუშაობა აღარ შეეძლო, თავი ჭადრაკის თამაშში სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. 1916 წელს კი გალიციის ფრონტზე დაჭრილი ა. ალიოხინისთვის, რომელიც ტარნოპოლის ჰოსპიტალში მოხვდა, „თვალხუჭულა" თამაში ნამდვილ შვებად იქცა. იგი ადგილობრივ მოჭადრაკეებს ხალისით ეპაექრებოდა და რამდენიმე მიმზიდველი პარტიაც მოიგო.

აი, ერთ-ერთი პარტიის ფინალი, ალიოხინის „თვალხუჭულა" სეანსიდან (პარიზი, 1913 წ.), რომელსაც მიმზიდველობა დღესაც არ დაუკარგავს.



მსოფლიო ჩემპიონმა (თეთრები) აქ ფორსირებულად, ათ სვლაში დაამარცხა პარიზელი პრას მეფე. სცადეთ თავად მიაგნოთ ამ შამათს.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ „თვალხუჭულა" თამაშს უაღრესად მახვილი მეხსიერება სჭირდება. მაგრამ ეს მაინც არ ყოფილა საკმარისი. საჭიროა „თვალხუჭულა" პაექრობა შეძლო. მოჭადრაკემ გონებაში უნდა წარმოიდგინოს პოზიცია და საუკეთესო სვლას მიაგნოს. ეს კიდევ შესაძლებელია ერთ პარტიას რომ თამაშობ, მაგრამ ერთდროული თამაშის სეანსის დროს სიძნელე გეომეტრიული პროგრესით იზრდება.

ერთხელ ალიოხინს ჰკითხეს: როგორ ახერხებთ „თვალხუჭულა" ათობით პარტიის თამაშსო? „ჩემი აზრით, — უთქვამს მსოფლიო ჩემპიონს, — მთელი საიდუმლოება თანდაყოლილ კარგ მეხსიერებაში იმალება, რომელსაც ავითარებს საჭადრაკო დაფის საფუძვლიანი ცოდნა და ჭადრაკის თამაშის არსში ღრმა წვდომა".

ალიოხინი იმასაც ამბობს, რომ „თვალხუჭულა" თამაშში გონებრივი მუშაობის დიდი ნაწილი ლოგიკური მეხსიერების საშუალებით ხორციელდება. მოჭადრაკე პოზიციებს იმახსოვრებს მათთვის დამახასიათებელი სვლით, პაიკთა ან ფიგურების განლაგებით და სხვ.

ერთდროული თამაშის სეანსის დროს ალიოხინს ჩვეულებად ჰქონდა პარტიების დაყოფა დებიუტების მიხედვით. „ნიუ-იორკის სეანსში, — წერს ალიოხინი (აქ მან 26 პირველთანრიგოსანთან 16 შეხვედრა მოიგო, 5 ყაიმით დაამთავრა, 5 წააგო — თ. გ.), დაფები ასე დავყავი: პირველი ექვსი ლაზიერის პაიკით დავიწყე, მერე ექვსი — მეფის პაიკით, მომდევნო ექვსი — კვლავ ლაზიერის პაიკით, კიდევ ექვსი — მეფის პაიკით, ხოლო ბოლო ორი პარტია — ლაზიერის ცუს პაიკით. დაფის ნომრის გამოძახების სას საჭირო იყო მხოლოდ დებიუტი გამეხსენებინა. მერე თავისით მაგონდებოდა ცალკეული გეგმები, მუქარები"...

„თვალხუჭულა" ნათამაშევ პარტიებს თითქმის არა აქვთ მხატვრული ღირებულება. ეს იმიტომ, რომ ოსტატი მთელი ძალით ვერ იბრძვის. დიდია ნერვული დაძაბულობა. შეცდომებიც ხშირია.

შემჩნეულია, რომ მოჭადრაკე რალაცნაირად ეშვება, როგორც კი უპირატესობას მიიღებს. უჭირს მისი რეალიზება. რა თქმა უნდა, პარტიის მხატვრულ ღირსებას ესეც საგრძნობლად აქვეითებს. ალიოხინი ფიქრობს, რომ „თვალხუჭულა" თამაშში მოჭადრაკე უფრო თავისი მეხსიერების ძალის გამოჩენას ცდილობს, ვიდრე ოსტატობისას.

დამტკიცებულია, „თვალხუჭულა" ერთდროულად რამდენიმე პარტიის თამაში აზიანებს გონებას, ნერვულ სისტემას და, საერთოდ, ჯანმრთელობას. იგი თამაშის კლასსაც აკნინებს. ქვეითდება მეხსიერება, მსჯელობის უნარი, მრუდდება თამაშის სტილიც. სწორედ ამიტომ სსრ კავშირში „თვალხუჭულა" ერთდროული თამაშის სეანსები აკრძალულია.

„მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო რეკორდს ვფლობ, — წერდა ალიოხინი 1928 წელს, — მაინც არ შემიძლია საჭადრაკო სპორტის ასეთი სახის მომხრე ვიყო. „თვალხუჭულა" თამაშს ვაფასებ მხოლოდ როგორც ჭადრაკის პროპაგანდის საშუალებას".

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ წარსულში ჭადრაკის გავრცელებას „თვალხუჭულა" თამაშმა საგრძნობლად შეუწყო ხელი. ამ საოცრების გამო ჭადრაკს, მის ქურუმებს ამა ქვეყნის ძლიერნი მუდამ დიდი პატივით ეპყრობოდნენ.

„თვალხუჭულა" თამაშის შესახებ პირველი ცნობა IX საუკუნეს ეკუთვნის. ვიღაც ისპაჰანელმა ოსტატმა ბაღდადში რამდენიმე პარტია ითამაშა და დამსწრენი აღფრთოვანებაში მოიყვანა.

საოცრებად აღიქვა საზოგადოებრიობამ გამოჩენილი ფრანგი მოჭადრაკის ა. ფილიდორის (გარდაიცვალა 1795 წ.) „თვალხუჭულა" ერთდროული თამაშის სეანსი სამ დაფაზე (2 მოიგო, 1 ყაიმი). შთაბეჭდილება იმდენად დიდი გახლდათ, რომ დალამბერმა და დიდრომ ეს ამბავი თავის „ენციკლოპედიაში" მოიხსენიეს.

„თვალხუჭულა" რამდენიმე პარტიის თამაში ისე გახშირდა XIX საუკუნეში, რომ ცნობილი მოჭადრაკეები ეჯიბრებოდნენ კიდეც ერთმანეთს. ამ პაექრობებს ჩვენს დროშიც ბევრი მაყურებელი ჰყავდა.

ჰყვებიან: ვიღაც მანდილოსანი დასწრებია ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატის რ. რეტის „თვალხუჭულა" თამაშს. სეანსის შემდეგ ამ ქალს განრისხებით უყვირია: „ეს ხომ მოტყუებაა! იგი სრულიადაც არ ყოფილა ბრმა".

გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქვეყნოდ გახმაურდა გერმანელი ოსტატის ლ. პაულსენის „თვალხუჭულა" სეანსის ამბავი 6 დაფაზე. მალე მას გენიალურმა ამერიკელმა პ. მორფიმ აჯობა: 8 მეტოქეს ეთამაშა. 1884 წელს დიდმა რუსმა მოჭადრაკემ მ. ჩიგორინმა ამერიკელის რეკორდი გაიმეორა. დიდ საოცრებად გამოაცხადეს მსოფლიო პირველობაზე პრეტენდენტი მატჩის მონაწილის, გერმანელი მაესტროს ი. ცუკერტორტის სეანსი 16 დაფაზე. 1900 წელს ამერიკელი ჰ. პილსბერი 22 მოჭადრაკეს ეთამაშა. ეს რეკორდი იყო. მან 1925 წლამდე გაძლო. რეკორდი რეტიმ მოხსნა: ერთდროულად 30 კაცს ეთამაშა. 1933 წელს ჩიკაგოში ალიოხინმა სეანსი 32 დაფაზე ჩაატარა. ბრძოლამ 12 საათს გასტანა. მსოფლიო ჩემპიონმა 19 პარტია მოიგო, 4 წააგო და 9 ყაიმით დაასრულა.

ბევრს არ ასვენებდა ალიოხინის რეკორდი. 1937 წელს ავსტრალიელი ოსტატი ე. კოლტანოვსკი 34 კაცს ეთამაშა. მეტოქენი მაინცდამაინც ძლიერნი არ იყვნენ. თამაში 14 საათს გაგრძელდა. 1947 წელს არგენტინელმა დიდოსტატმა მ. ნაიდორფმა სეანსი 45 ბრაზილიელი მოჭადრაკის წინააღმდეგ ჩაატარა. თამაშმა თითქმის ერთ დღე-ღამეს (23 ს., 30 წ.) გასტანა.

ამჟამად „მსოფლიო რეკორდის" მფლობელია უნგრელი ოსტატი ი. ფლეში. ეს მიღწევა 1961 წელს დამყარდა, როცა ფლეში 52 მეტოქეს შეხვდა.

ვიდრე სსრ კავშირში „თვალხუჭულა" ერთდროული თამაშის სეანსები აიკრძალებოდა, რეკორდსმენები ჩვენც გვყავდა. ერთ-ერთი რეკორდსმენი გახლდათ თბილისელი ოსტატი ნ. სოროკინი. მისი რეკორდია სეანსი 15 დაფაზე.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ხ. კაპაბლანკა წერდა: „თვალხუჭულა" ერთდროული თამაშის სეანსების თამაშში ალიოხინს არც წარსულში და არც აწმყოში ტოლი არა ჰყავს. ამ სფეროში შეუძლებელია მიბაძო მას. რომ მიბაძო, უნდა გქონდეს საოცარი საჭადრაკო მეხსიერება ალიოხინისა (ამბობენ, ალიოხინს ახსოვს ყველა მისი ნათამაშევი პარტია), რომელსაც დაძაბული გონებრივი მუშაობის კოლოსალური უნარი გააჩნია".

და სწორედ ამ ალიოხინმა თქვა: „თვალხუჭულა" სეანსი მხოლოდ საოცრებაა და სხვა არაფერიო.

თ. გიორგაძე.

## ავსტრალია მასპინძლობის სურვილს გამოთქვამს

ავსტრალიის ჭადრაკის ფედერაციის მდივანმა გ. კოსნიცკიმ ფიდე-ს პრეზიდენტს, პროფესორ მ. ეივეს აცნობა, რომ მისი ქვეყანა მზადაა უმასპინძლოს ბ. სპასკი — რ. ფიშერის მატჩს მსოფლიო პირველობაზე.

დღემდე ფიქრობდნენ, რომ ავსტრალია მსოფლიო პირველობაზე მატჩის მასპინძლად არ გამოდგებოდა, ტექნიკურად ვერ გაუძღვებოდა ესოდენ რთულსა და საპასუხისმგებლო ორთაბრძოლას. მაგრამ ამ ქვეყანაში სტუმრობისას ეივე დარწმუნდა, რომ ავსტრალიელებს შესწევთ უნარი მატჩს თავი გაართვან. ამიტომ, როგორც კი შეიტყო იუგოსლავიელ ორგანიზატორთა უარი მატჩის ჩატარებაზე, თავად დაასახელა ერთ-ერთ შესაძლებელ კანდიდატად ავსტრალია.

ავსტრალიის ჭადრაკის მესვეურმა გ. კოსნიცკიმ ფიდე-ს ხელმძღვანელობას შეატყობინა, რომ მზად არიან საპრიზო ფონდად 150 ათასი დოლარი გაიღონ.

სპასკი — ფიშერის მატჩს ალბათ სხვა მასპინძლებიც გამოუჩნდება. ჯერ კიდევ არის დრო.

(საკ. ინფ.).

## ეტიუდი

რ. დადუნაშვილი

(ქუთაისი)



თეთრები იგებენ

## სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 9 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული ჯ. მახათაძის (ზესტაფონი) ოთხსვლიანი ამოცანა სწორად ამოხსნეს ნინო ჩხეიძემ, ვ. სახარულიძემ (ორივე — თბილისი), ჯ. ჭუმბურიძემ (თერჯოლა, ზედა სიმონეთი), თ. და რ. გურულებმა (ზესტაფონი, ქვედა საქარა).

ამოცანის ამოხსნაა: 1. კh8 e5 2. მg7 მფ:e3 3. მf5+.



18 წლის ერიკ დონე და 17 წლის ანდრე მატცკე ამ ბოლო დროს წყალქვეშა სპორტმა გაიტაცა. ისინი ედინბურგის „წყლის მოყვარულთა" კლუბის აქტიური წევრები გახდნენ. ორიოდე თვის წინ ახალგაზრდა სპორტსმენებმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს ზღვის ფსკერზე — საჭადრაკო მატჩი გამართეს. ნაპირზე მოასპარეზეებს დიდძალი ცნობისმოყვარენი ელოდნენ, მაგრამ ბრძოლა დაუმთავრებელი დარჩა და მეტოქეებიც შეთანხმდნენ, რომ პარტიას ერთდღიანი შესვენების შემდეგ განაახლებდნენ.

— ჩვენი მთავარი მიზანია, — განუცხადეს „მოჭადრაკეებმა" ჟურნალისტებს, — რომ წყლის ქვეშ დავამთავროთ პარტია. ვფიქრობთ, ხანგრძლივი წვრთნის შემდეგ მივაღწევთ საწადელს.

სსრ კავშირის პირველობა

# დანაკარგი — 0

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 აპრილი.
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „პამირი“ (დუშანბე) 5:1 (2:0).
„ტორპედო“: კავაზაშვილი, წვერავა, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, მირონოვი, ოქროპირაშვილი (ჭოლაძე), ლენიოვი, ამბარცუმიანი (ზადიკაშვილი), ვეკუა, ხერხაძე, ჯ. სილაგაძე.
„პამირი“: ბუბენეცი, ხალიხოვი, ხაბო, რაგიმოვი (ხრისტიჩი), ჩერედნიჩენკო, მაკაროვი, ნაბიევი (იბრაგიმოვი), გულიამხაიდაროვი, ციგანკოვი, გრიეენკო, პეტროსოვი.
მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).
დუბლიორები — 2:1 „პამირის“ სასარგებლოდ.

„პამირი“ საკმაოდ გამოცდილი, ძლიერი კოლექტივია, რომლის შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში ნათამაშევი ფეხბურთელებიც გამოდიან, მაგრამ წინა ტურში გუნდმა სერიოზული მარცხი განიცადა დონეცკის „შახტიორისგან“ და ამიტომ ყოველ ზომას მიმართა, რათა ქუთაისში ეხსნა თუნდაც 1 ქულა.

მაგრამ სტუმრებს ამ მატჩში იოტის ოდენა შანსიც კი არ გააჩნდათ არა თუ დამარცხებას გადარჩენოდნენ, არამედ თუნდაც დიდი ანგარიშისგან ეხსნათ თავი. პირველ წუთებზე ნაბიევი სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდა „ტორპედოს“ კარის წინ, რის შემდეგ მიზანს ააცილა ბურთი. ეს იყო ქუთაისელთა დაცვის ერთადერთი შეცდომა. შემდგომში მასპინძლები განუწყვეტლივ, მთელი მატჩის მანძილზე უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს და, სიმართლე რომ ითქვას, „პამირი“ კიდევ იოლად გადარჩა, ვინაიდან მის კართან შექმნილ საგოლე მომენტებს თვლა არ ჰქონდა.

ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა ამბარცუმიანმა, რომელმაც მიიღო სილაგაძის გადაცემა და 22 მეტრიდან ზუსტად დაარტყა კარში. შემდგომში ბუბენეცს ძალზე ძნელი ბურთების აღება მოუხდა ხერხაძისგან, ოქროპირაშვილისგან, მაგრამ 31-ე წუთზე კომბინაცია ხერხაძე-ამბარცუმიანი-ოქროპირაშვილი მეორე გოლით აღინიშნა.

შესვენების შემდეგ ბუბენეცმა წამით მოიგერია ხერხაძის მიერ დარტყმული ბურთი, მას მიუსწრო ვეკუამ და ანგარიში გაიზარდა 3:0-მდე. 56-ე წუთზე ხერხაძემ და 68-ე წუთზე ვეკუამ კიდევ თითოჯერ აიძულეს დუშანბელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში და მხოლოდ მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, გრიეენკომ შეძლო ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა.

ტორპედოელებმა ამ მატჩში ნამდვილად ოსტატური, მაღალკვალიფიციური, მონდომებული თამაში აჩვენეს თავიანთ გულშემატკივრებს. ისინი ახლა დამაჯერებლად ლიდერობენ I ლიგის სატურნირო ცხრილს და ჯერ არა აქვთ დანაკარგი ქულებში. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ჩვენი გუნდი განამტკიცებს სტარტზე მონაპოვარს და წარმატებით შეასრულებს იმ საპატიო, საპასუხისმგებლო ამოცანას, რომელიც მის წინაშეა დასახული მიმდინარე სეზონში.

შ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).




## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 3 | 3 | 0 | 0 | 8—1 | 6 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 4 | 2 | 2 | 0 | 5—1 | 6 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 4 | 2 | 1 | 1 | 9—4 | 5 |
| „ავტომობილისტი“ (ორჯონიკიძე) | 4 | 2 | 1 | 1 | 6—4 | 5 |
| „კრივბასი“ (კრივოი როგი) | 4 | 1 | 3 | 0 | 7—6 | 5 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 4 | 2 | 1 | 1 | 6—5 | 5 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—4 | 5 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 4 | 1 | 3 | 0 | 4—3 | 5 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 4 | 2 | 1 | 1 | 3—2 | 5 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 4 | 0 | 4 | 0 | 5—5 | 4 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—2 | 4 |
| „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 4 | 1 | 2 | 1 | 3—4 | 4 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 3 | 1 | 1 | 1 | 5—5 | 3 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 4 | 1 | 1 | 2 | 5—5 | 3 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 4 | 0 | 3 | 1 | 2—3 | 3 |
| „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) | 3 | 0 | 2 | 1 | 3—4 | 2 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 4 | 0 | 2 | 2 | 2—4 | 2 |
| „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 4 | 1 | 0 | 3 | 1—5 | 2 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—8 | 2 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 3 | 0 | 0 | 3 | 1—8 | 0 |

21 აპრილს გაიმართა I ლიგის გუნდების სხვა მატჩებიც: „ავტომობილისტი“ (ორჯონიკიძე) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 3:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „ალგა“ (ფრუნზე) 0:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — 3:0, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 2:2, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:2, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 3:3.

## პირველი მატჩები

დღეს იწყება საკავშირო გათამაშება ფეხბურთში „ა“ კლასის II ლიგის გუნდებს შორის. საქართველოს კოლექტივები მონაწილეობენ III ზონაში. ესენია: „მეტალურგი“ (რუსთავი), „დინამო“ (ბათუმი), „მერცხალი“ (მახარაძე), „კოლხეთი“ (ფოთი), „დილა“ (გორი), „დინამო“ (სოხუმი), „გურია“ (ლანჩხუთი).

გთავაზობთ პირველი 2 ტურის კალენდარს:

**23 აპრილი**

„დრუჟბა“ (მაიკოპი) — „შრომითი რეზერვები“ (კურსკი), „დინამო“ (სოხუმი) — „სალუტი“ (ბელგოროდი), „კოლხეთი“ (ფოთი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი), „ზვეზდა“ (ტამბოვი) — „სპარტაკი“ (ორიოლი), „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი), „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „დილა“ (გორი).

**27 აპრილი**

„დრუჟბა“ — „სალუტი“, „დინამო“ (სოხუმი) — „შრომითი რეზერვები“, „კოლხეთი — „მეტალურგი“ (ლიპეცკი), „გურია“ — „ტრუდი“, „დინამო“ (ბრიანსკი) — „სპარტაკი“, „ყუბანი“ — „ხიმიკი“, „კალიტვა“ — „მაშინოსტროიტელი“, „მერცხალი“ — „მეტალურგი“ (რუსთავი), „დილა“ — „დინამო“ (ბათუმი).

# ყველა ფინალისტი გამოვლინდა

ამ დღეებში გაიმართა ფეხბურთში ევროპული საკლუბო ტურნირების ნახევარფინალური მატჩები, რომლებმაც გამოავლინა ყველა ფინალისტი.

ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ მოსკოვის დინამოელთა მეტოქე თასების მფლობელთა თასის ფინალში იქნება შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“, რომელმაც თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ბაიერნი“ (გფრ). ფინალური მატჩი 24 მაისს შედგება ბარსელონაში.

ჩემპიონთა თასზე ლისაბონის „ბენფიკამ“ ვერაფერი გააწყო ჰოლანდიის „აიაქსთან“ და დასჯერდა ფრეს — 0:0. პირველი შეხვედრა „აიაქსს“ ამსტერდამში მოგებული ჰქონდა ანგარიშით — 1:0.

ჰოლანდიელი ფეხბურთელები 31 მაისს როტერდამში ფინალში შეხვდებიან მილანის „ინტერნაციონალეს“, რომელმაც ნახევარფინალიდან შეძლო შოტლანდიის „სელტიკის“ გამოთიშვა. ამ მატჩში ანგარიში არ გახსნილა — 0:0 და დაინიშნა პენალტების სერია. იტალიელებმა ყველა 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენეს (მაცოლა, ფაკეტი, ფრუსტალიუნი, ბელიზარო, ჟაირი), ხოლო შოტლანდიელმა დინსმა ბურთი მიზანს ააცილა.

უეფა-ს თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისური გუნდები — „ვულვერჰემპტონი“ და „ტოტენჰემი“. ფინალში შედგება 2 მატჩი — 3 და 17 მაისს.

„ტოტენჰემმა“ მილანში შეძლო ფრედ ეთამაშა იქაურ „მილანთან“ — 1:1, პირველი მატჩი კი მას მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:1.

„ვულვერჰემპტონს“ ბუდაპეშტში „ფერენცვაროშთან“ ფრედ ჰქონდა ნათამაშევი — 2:2. განმეორებითი შეხვედრა ინგლისელებმა შინ მოიგეს ანგარიშით 2:1. აღსანიშნავია, რომ „ვულვერჰემპტონი“ I ტაიმის შემდეგ წინ იყო ანგარიშით 2:0. როგორც კი განახლდა თამაში, მუხამ გაქვითა 1 გოლი და უნგრელებს შეეძლოთ თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის, მაგრამ სიოკემ ვერ გამოიყენა პენალტი. ეს ის სიოკეა, რომელმაც ბუდაპეშტშიც ვერ შეძლო 11-მეტრიანის რეალიზება.

# ტურნირის პროგრამა დამტკიცდა

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ბრაზილიაში მალე უნდა მოეწყოს ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი, რომელსაც მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს უწოდებენ.

ტურნირს წინ მრავალი დაბრკოლება უძღოდა, მაგრამ როგორც ახლახან გამოაცხადა საორგანიზაციო კომიტეტმა, საკონფლიქტო საკითხები კეთილად გადაიჭრა და შეჯიბრების პროგრამაც დამტკიცდა.

როგორც ადრე იყო გადაწყვეტილი, ბრაზილიის, სსრ კავშირის, შოტლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები გათამაშებაში უშუალოდ ნახევარფინალებში ჩაებმებიან შესარჩევ მატჩებში გამარჯვებულებთან ერთად.

შექმნილია 3 ასეთი შესარჩევი ჯგუფი: I ჯგუფში გაერთიანდნენ საფრანგეთი, კოლუმბია, არგენტინა, ეგრეთვე, თითო გუნდი აფრიკიდან და ცენტრალური ამერიკიდან; II ჯგუფში შევიდნენ პორტუგალია, ჩრ. ირლანდია, ეკვადორი, ჩილი და აზიის 1 გუნდი; III ჯგუფში ითამაშებენ პერუ, იუგოსლავია, ვენესუელა, ბოლივია და პარაგვაი.

**15** წლის ავსტრალიელი მოცურავე შეინ გოულდი მიუნჰენის ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ნიჭიერი მოცურავე თანაბრად ძლიერია თავისუფალი სტილით ცურვის ყველა დისტანციაზე და ძნელი დასაჯერებელია, რომ ვინმემ სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს ოლიმპიურ ტურნირში. ავსტრალიელი გოგონა დიდ დროს ანდომებს ვარჯიშს, მაგრამ მუდამ ხალისით თამაშობს ჩოგბურთსაც და მიაჩნია, რომ სპორტის ეს სახეობა დიდ დახმარებას უწევს საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

• • •

ეს ფოტოსურათი სწორედ ჩოგბურთის თამაშის შემდეგაა გადაღებული. შეინმა კორტებზე გული იჯერა და თავის საყვარელ სტიქიას მიაშურა. აქ იგი მთელის არსებით ისვენებს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# ძნელ ბრძოლაში...

კიევი, 21 აპრილი. გვიან ღამით დამთავრდა შეჯიბრების ლიდერის — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბისა და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდების შეხვედრა. დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში გაიმარჯვა ლიდერმა — 5:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი | 7 | 6 | 1 | 0 | 40—26 | 13 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 7 | 5 | 2 | 0 | 42—30 | 12 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 7 | 4 | 2 | 1 | 32—24 | 10 |
| „დინამო“ (კიევი) | 7 | 4 | 1 | 2 | 32—31 | 9 |
| „დინამო“ (თბილისი) | 7 | 4 | 0 | 3 | 39—38 | 8 |
| „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) | 7 | 3 | 0 | 4 | 30—31 | 6 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) | 7 | 1 | 3 | 3 | 30—31 | 5 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 7 | 1 | 2 | 4 | 31—42 | 4 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 7 | 1 | 1 | 5 | 27—37 | 3 |
| „დინამო“ (ალმა-ათა) | 7 | 0 | 0 | 7 | 24—37 | 0 |



## ჩოგბურთის ამბები

**შარლოტი** (აშშ). 25 წლის კ. რიჩიმ განაცხადა, რომ ამიერიდან პროფესიონალთა შორის იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ რიჩი დღემდე აშშ-ს ნაკრების წევრი იყო და დევისის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა. ვინაიდან პროფესიონალებში გადავიდა, რიჩი ველარ დაიცავს ამერიკის სპორტულ ღირსებას დევისის თასისთვის ბრძოლაში.

**სენტ-პიტერსბერგი** (აშშ). აქ გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა ამერიკელმა რიჩი-განტერმა, რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგო ევერტს (აშშ) — 6:3, 6:4.

**კვებეკი.** კანადის ამ ქალაქში გამართულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში თავი ისახელა ამერიკელმა რისენმა. მან ნახევარფინალში დაამარცხა თანამემამულე ეში (1:6, 6:4, 6:3), ხოლო ფინალში — ავსტრალიელი ლეივერი (7:5, 6:2, 7:5). ვაჟთა წყვილების ფინალში გავიდნენ მხოლოდ ავსტრალიელები: გადამწყვეტ მატჩში კარმაიკლმა და რაფელსმა დაამარცხეს ედისონი და ალექსანდერი — 4:6, 6:3, 7:5.

**მადრიდი.** აქ გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში უძლიერესის სახელი მოიპოვა რუმინელმა ჩოგბურთელმა ნესტასემ. მან ნახევარფინალში დაამარცხა კოდეში (ჩეხოსლოვაკია) — 3:6, 6:7, 7:6, 7:6, 6:3, ხოლო ფინალში — პალა (ჩეხოსლოვაკია) — 6:0, 6:0, 6:1. ქალთა ერთეულებში პირველობა იზეიმა ამერიკელმა ტუერომ, რომელმაც ფინალური მატჩი მოუგო პალმეოვას (ჩეხოსლოვაკია) — 6:3, 6:1. ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს სმითმა (აშშ) და ნესტასემ, ქალთა წყვილებში — ბონისელიმ (პერუ) და ფერნანდესმა (კოლუმბია), შერეულ წყვილებში — შოუმ (დიდი ბრიტანეთი) და მაკდონალდმა (ავსტრალია).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04506